



შორენა (გია) ბრეგაძის გასაჭირი

გია ბრეგაძეს ბავშვობიდან თავი გოგოდ მიაჩნდა. 16 წლის ასაკიდან იგი ქალის ტანსაცმელს ატარებდა და თავს ქალად მიიჩნევდა, თუმცა მას არ სურდა სქესის შეცვლის ოპერაციის საკუთარ სხეულზე ჩატარება. მისი სქესობრივი იდენტობის გამო გიას სამეზობლოში და ოჯახში მუდმივი კონფლიქტები ჰქონდა, რის გამოც იგი 16 წლიდან თბილისის ისტორიულ უბანში, დავით აღმაშენებლის გამზირზე მეგობარ გოგოსთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა.

2017 წლის 14 ივლისს გია ბრეგაძემ მიმართა თბილისის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს განცხადებით, სადაც იგი ითხოვდა საკუთარი სქესის: „მამრობითი“, მდედრობითი სქესით ჩანაცვლებას, ასევე საკუთარი დაბადების სახელის - „გია“, ცვლილებას. გია შორენა ბეგაშვილის გარეგნობით იყო მოხიბლული და მიაჩნდა, რომ იგი შორენა ბეგაშვილზე არანაკლებ ლამაზი იყო, როდესაც სათანადო მაკიაჟს ატარებდა, ამიტომ გია განცხადებაში ითხოვდა სახელის გრაფაში მისი გვარის წინ სახელის „გია“, სახელით „შორენა“ ჩანაცვლებას. სამოქალაქო რეესტრის სააგენტომ გიას პირადობის მოწმობაში განცხადების საფუძველზე მოთხოვნილი ცვლილებები არ შეიტანა და სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს გადაწყვეტილებით განცხადება არ დაკმაყოფილდა. კერძოდ, საქართველოს კანონის „სამოქალაქო აქტების შესახებ“ 78-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე გიას უარი ეთქვა პირადობის მოწმობაში მამრობითი სქესის მდედრობითით ჩანაცვლებაზე და სახელის ცვლილებაზე. სამოქალაქო რეესტრიდან მიღებული უარის მიუხედავად, 2017 წლიდან გია საკუთარ თავს შორენას უწოდებდა.

2018 წლის მაისში, შორენას თავდავიწყებით შეუყვარდა სანდრო კორკოტაშვილი, რომელიც მას მუდმივი ყურადღებით და საჩუქრებით ანებივრებდა, თუმცა სანდრომ არ იცოდა, რომ შორენა ბეგაშვილის ასლივით გარეგნობის მქონე შორენა ბრეგაძე, იგივე გია ბრეგაძე იყო. როდესაც 2018 წლის 14 თებერვალს სანდრო კორკოტაშვილმა შორენა ბრეგაძე სახლში უცნობის კონცერტის სანახავად დაპატიჟა, მან აღმოაჩინა, რომ შორენას ფიზიკური სხეული, კერძოდ კი სასქესო ორგანოები, მისი სასქესო ორგანოებისგან არ განსხვავდებოდა. ამავე საღამოს სანდრომ შორენა სასტიკად სცემა, ისე რომ შორენამ სახლამდე ვერ შეძლო მისვლა და იგი სადარბაზოში მეზობელმა გონებადაკარგული იპოვნა და გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში წაიყვანა.

ამ შემთხვევის შემდეგ სანდრო სისტემატურად ემუქრებოდა შორენას, რომ თუ იგი მის მეგობრებს მათი სასიყვარულო ისტორიის შესახებ მოუთხრობდა, სანდრო „მიწიდანაც კი ამოიღებდა და მოკლავდა“. სანდროს მიერ სოციალურ ქსელ „facebook“-ზე შორენას დაშინებას და მუქარას იმდენად სისტემატური ხასიათი ჰქონდა, რომ შორენამ აღნიშნულ სოციალურ ქსელში მისი პროფილი გააუქმა. ამის შემდეგ სანდრო შორენას სისტემატურად სადარბაზოსთან ხვდებოდა და

რამოდენიმეჯერ სასტიკად სცემა. მორიგი ცემის შემდეგ, შორენამ გადაწყვიტა მიემართა საქალაქო სასამართლოსთვის, სადაც იგი ითხოვდა „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, სანდროს მიმართ დამცავი ორდერის გამოცემას. განცხადებაში შორენა მიუთითებდა, რომ მის მიმართ ხორციელდებოდა ძალადობა გენდერული ნიშნით.

საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა შორენას განცხადება და მიიჩნია, რომ შორენას, როგორც მამრობითი სქესის ადამიანს, კანონის მე-3¹ მუხლით არ ჰქონდა დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვის უფლება.

შორენა ბრეგადემ აიყვანა ადვოკატი, რომელმაც მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და მოითხოვა საქართველოს კანონის „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ მე-3¹ მუხლისა და საქართველოს კანონის „სამოქალაქო აქტების შესახებ“ 78-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის არაკონსტიტუციურად ცნობა.

კითხვა: კონსტიტუციურია თუ არა საქართველოს კანონის „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ მე-3¹ მუხლი და საქართველოს კანონის „სამოქალაქო აქტების შესახებ“ 78-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი.

ქვეკითხვები:

ა. კონსტიტუციურია თუ არა საქართველოს კანონის „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ მე-3¹ მუხლი საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით;

ბ. კონსტიტუციურია თუ არა საქართველოს კანონის „სამოქალაქო აქტების შესახებ“ 78-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი საქართველოს კონსტიტუციის მე-14 და მე-16 მუხლებთან მიმართებით.